პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 56
(7367)

22
1983 წ.
მარტი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გაზეთ „პრავდის" პრიზებზე

19-20 მარტი თბილისში „მძლეოსნურ დღეებად" იქცა: ქალაქის სპორტულ მოედნებზე და პარკებში გაიმართა რაიონული შეჯიბრებები მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდის" პრიზზე. რაიონების ხელმძღვანელობის დროული ზრუნვის შედეგად ასპარეზობამ მასობრივი ხასიათი მიიღო: სარბიელზე გამოვიდა ათასობით მოსწავლე, სტუდენტი და მუშა-მოსამსახურე.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთაგან დაკომპლექტებული ნაკრები გუნდები, მონაწილეობას მიიღებენ საქალაქო პირველობაში, რომელიც 27 მარტს თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტერიტორიაზე გაიმართება.

(რაიონული კროსების შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემდეგ ნომრებში გამოქვეყნდება).

გ. ჩოჩიშვილი.

* * *

სურათებზე: დიღმის ტყე-პარკსა და ვ. კიკვიძის სახელობის პარკში გამართულ შეჯიბრებაში ძალებს ცდიდნენ პირველი მაისის და ლენინის სახელობის რაიონების წარმომადგენლები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

●

გამარჯვებულნი

შეაჯამდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის 1982 წელს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ყველა სფეროში, ნაბიჯებია გადადგმული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის ცნობილი დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარების მიზნით.

1982 წლის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს შემდეგი სპორტკომიტეტები:

პირველ ჯგუფში
1. თბილისი
2. ქუთაისი
3. რუსთავი

მეორე ჯგუფში
1. მახარაძის რაიონი
2. ქ. ზუგდიდი
3. ზესტაფონის რაიონი

მესამე ჯგუფში
1. ქ. ფოთი
2. წყალტუბო
3. სიღნაღის რაიონი

მეოთხე ჯგუფში
1. ქ. ტყიბული
2. დუშეთი
3. საჩხერე

გამარჯვებული კოლექტივები ჯილდოვდებიან რესპუბლიკის სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

II-III ადგილებზე გასულ ორგანიზაციებს გადაეცემათ სამახსოვრო ვიმპელები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

საწარმოში — „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშნით

სოხუმის № 58 ტექნიკური სასწავლებელი განთქმულია როგორც შრომითი, ისე სპორტული ტრადიციებით. თვითმოქმედი ტურიზმის საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში ტექნიკურ სასწავლებელთა ქვეჯგუფში სასწავლებელმა I ადგილი დაიკავა. სასწავლებელს სპორტდარბაზი არა აქვს, ამიტომ სპორტული მუშაობა ძირითადად ტურისტულ ტრასაზე წარმოებს. სპორტული მუშაობის სულისჩამდგმელები არიან სასწავლებლის დირექტორი ი. ფირცხალავა (მას სპორტის 7 სახეობაში აქვს თანრიგი) და სოხუმის ტურისტული კლუბის დირექტორი ბ. ზაურიუმოვი. ოთხი წლის წინათ მათ საფუძველი ჩაუყარეს ტურისტულ შეჯიბრებას — „სოხუმის გაზაფხული". ახლა ეს შეჯიბრება რესპუბლიკის მასშტაბით ტარდება და საასპარეზოდ მოსკოვისა და ლენინგრადის ტურისტებიც ჩამოდიან. ერთ-ერთი ყველაზე სპორტული მეათე ჯგუფია, სადაც 25 გოგონა და ერთი ჭაბუკი ფეხსაცმლის ზედაპირის გადაჭიმვის სპეციალობას ეუფლება. ჯგუფის საწარმოო სწავლების ოსტატია ნ. ბალათელია, კლასის ხელმძღვანელი — ფიზაღზრდის მასწავლებელი, ომის ვეტერანი ა. რუხაძე. ამ ჯგუფის ბევრმა მოსწავლემ ახლახან სპორტული თანრიგი მიიღო, ივლისში კი ყველა კურსდამთავრებული საწარმოში „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშნით გამოცხადდება.

ე. გენდუქიძე,
„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მეთოდისტი.

* * *

სურათებზე: ა. რუხაძე ტურისტებს ასწავლის კარვის გაშლას; სასწავლებლის მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკაზე.

ვ. ბუკინის ფოტოები.

პანორამა

● კალათბურთი

კაუნასში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო, მესამე ფინალური მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა" და ცსკა-ს შორის. დამატებითმა ხუთწუთიანმა ტაიმმა გამარჯვება არმიელებს არგუნა — 79:77 (39:36, 70:70). ისინი ოცდამეერთედ გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები. მატჩში ყველაზე შედეგიანები იყვნენ: არმიელთაგან ს. ერიომინი — 22 ქულა, ვ. ტკაჩენკო — 21 და ს. ტარაკანოვი — 12, კაუნასელთაგან ს. იოვაიშა — 20, ა. საბონისი — 18 და ვ. ხომიჩუსი — 14.

● ჩოგბურთი

ტალინში მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიაც მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები, გამოვლინდნენ ერთეულთა შეჯიბრების ფინალის მონაწილენი, აი, ისინიც: ქალებში — 17 წლის ლვოველი ლ. სავჩენკო, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა მოსკოველი ი. კაშევაროვა — 7:5, 6:2 და მოსკოველი ნ. რევა, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა თანაქალაქელი ი. სალნიკოვა — 6:3, 6:2; ვაჟებში: სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოველი კ. პუგაევი (დაამარცხა კიეველი ი. ფილევი — 6:4, 6:4) და ტალინელი ა. სუურტალი (დაამარცხა რიგელი გ. ძელდე — 6:3, 7:6).

● მძლეოსნობა

ლონდონი. ინგლისის ქალაქ გეიტსხედის გარეუბანში გამართულ „ერების კროსში" (მსოფლიო ჩემპიონატი კროსში) საბჭოთა მორბენალმა ტ. პოზდნიაკოვამ (ულან-უდე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 2072-მეტრიანი ტრასის ფინიშზე უმწვავეს ბრძოლაში ტატიანა სულ რაღაც სანტიმეტრებით ჩამორჩა კანადელ ელისონ უილის (ორივე სპორტსმენის დროა — 13.37.). გაიმარჯვა ნორვეგიელმა მორბენალმა გრეტე ვაიტცმა — 13.29,0. საუკეთესო ათეულში მოხვდა აგრეთვე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ანდიჟანელი სტაიერი ს. ულმასოვა — 14.01,0. (მეექვსე შედეგი), გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ქალები II ადგილზე გავიდნენ.

ოსლოს დახურულ დარბაზში გამართულ ინგლისისა და ნორვეგიის მძლეოსანთა შეხვედრაში ინგლისელმა სებასტიან კოუმ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1000 მეტრზე რბენაში — 2.18,58. „ზამთრის" ადრინდელმა რეკორდმა (2,19,1), რომელიც გფრ-ის სპორტსმენს პოლ-ჰაინც ველმანს ეკუთვნოდა, 7 წელიწადს გაძლო.

(საკდესი).

● ფრენბურთი

შაბათს, 19 მარტს, გადამწყვეტ მატჩში მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი — 3:2 და ხუთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაეუფლა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს.

3 ჩემპიონი და პრიზიორები

საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენი ფალავნები ნებისმიერი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების ფავორიტები არიან და ხშირად უძლიერესთა კვარცხლბეკზე იკავებენ ადგილს.

ამას წინათ ბრიანსკში გამართულ იუნიორ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა საგრძნობლად გაუსწრო ყველა კონკურენტს და გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა.

ოქროს მედლები მოიპოვეს ა. თენაძემ (78 კგ), კ. კურტანიძემ (95) და ნ. დავითაშვილმა (აბსოლუტური კატეგორია). მეორე ადგილზე გავიდა ა. გუბელაძე (მძიმე წონა), მესამეზე—ბ. ბუჯიშვილი (86) და ა. ხაჩიძე (95).

• • •

სურათებზე: ზემოდან — ა. თენაძე, კ. კურტანიძე და ნ. დავითაშვილი.

თბილისის VIII სპარტაკიადა

დინამოელთა უპირატესობით

ძიუდოს დარბაზში დამთავრდა თბილისის VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძიუდოში. ტურნირში 9 სპორტული საზოგადოების 100-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენ შევხვდით შეჯიბრების მთავარ მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ანზორ მარტყოფლიშვილს** და ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა ამ შეჯიბრების შესახებ:

— ძიუდოისტთა ასპარეზობა კარგად იყო ორგანიზებული, დამაკმაყოფილებელი იყო მსაჯობის დონეც, მოჭიდავეთა უმრავლესობამ კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინა.

განსაკუთრებით სასიხარულოა ახალგაზრდების — ბ. ბოჭორიშვილის, მ. გენებაშვილის, ზ. ხომისურაშვილის, ხ. გუგავას და გ. კოხოძის წარმატება. მათ სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს, თბილისის ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი და მალე საქართველოს VIII სპარტაკიადის ფინალში გამოვლენ.

ახალბედებთან ერთად ტატამზე გამოვიდნენ ცნობილი სპორტსმენებიც — თ. ნამგალაური, ა. წიკლაური და ა. ხაჩიძე. ნამგალაური ევროპის პირველობისთვის ემზადება, ხოლო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ილექსანდრე ხაჩიძე — თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ამ სპორტსმენების თბილისის სპარტაკიადაში მონაწილეობა ადრევე შედგენილი ინდივიდუალური გეგმის მიხედვით იყო გათვალისწინებული.

რაც შეეხება საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს, იგი განაგრძობს მზადებას სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებისთვის. მალე გუნდი გაემგზავრება კისლოვოდსკში, სადაც სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად გაივლის შეკრებას. მარტის ბოლო რიცხვებში გდრ-ში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გ. გოგოლაური. წარმატების შემთხვევაში იგი თ. ხუბულურთან, შ. ხაბარელთან და თ. ნამგალაურთან ერთად იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატში.

• • •

პრიზიორები:

60 კგ. ა. ქუშანაშვილი (ასკ), გ. ჩადუნელი („განთიადი"), თ. ჩუბინიძე („დინამო"), გ. ოქროპირიძე („შრომითი რეზერვები").

65 კგ. მ. ზურაბიშვილი (პროფკავშირთა საზოგადოება), დ. ჯანგირაშვილი (ასკ), მ. გოგლიძე („შრომითი რეზერვები"), ხ. ბილაშვილი („დინამო").

71 კგ. ნ. ეპიტაშვილი („ბურევესტნიკი"), ა. ნოქარაშვილი („სპარტაკი"), ნ. ქავთარაძე (ასკ), გ. ბერიძე („სპარტაკი").

78 კგ. თ. ნამგალაური, ა. წიკლაური (ორივე-„დინამო"), ვ. ოდიშვილი („კოლმეურნე"), ხ. გუგავა („შრომითი რეზერვები").

86 კგ. დ. დავითაშვილი („დინამო"), მ. გენებაშვილი („ბურევესტნიკი"), დ. აფციაური (ასკ), გ. გაგლოშვილი („კოლმეურნე").

95 კგ. დ. მსუქნიძე („განთიადი"), ა. რაზმაშვილი („კოლმეურნე"), ნ. აბაშიძე („ლოკომოტივი"), ა. ხაჩიძე („დინამო").

მძიმე წონა. გ. კოხოძე („დინამო"), ზ. ხომისურაშვილი („განთიადი"), ვ. ხიზანიშვილი („ლოკომოტივი"), ბ. ბოჭორიშვილი („ბურევესტნიკი").

აბსოლუტური. გ. კოხოძე („დინამო"), დ. მსუქნიძე („განთიადი"), ხ. ბოჭოიძე (პროფკავშირთა საზოგადოება), ბ. ბოჭორიშვილი („ბურევესტნიკი").

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო" — 237,5 ქულა, „განთიადი" — 179, „ბურევესტნიკი" — 152.

ა. ბიბინეიშვილი.

● ძიუდო

პრაღის საერთაშორისო

პრაღაში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც 13 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. იაპონიის, კუბის, მექსიკის, საფრანგეთის, გფრ-ის და სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან ორთაბრძოლაში საბჭოთა ძიუდოისტებმა 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ტურნირში გაიმარჯვეს ვ. პესნიაკმა (86 კგ) და ხ. ბიკტაშევმა (მძიმე წონა). გ. ვერიჩევი (მძიმე წონა), რ. ბედანოკოვი (78) და ვ. კარპუნინი (65) ვერცხლის, ხოლო ხ. კალენტიევი (65), თ. ნამგალაური (71) და შ. ხაბარელი (78) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

საქართველოს 1983 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

გათამაშების დებულება და მოთხოვნები ორგანიზატორების, მსაჯების, ფეხბურთელების, მაყურებლების მიმართ

დაიწყო საქართველოს სსრ 1983 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი. იგი მიზნად ისახავს რესპუბლიკაში ფეხბურთის მასობრიობის ზრდას, თამაშის კლასის შემდგომ ამაღლებას, საუკეთესო გუნდებისა და ფეხბურთელთა გამოვლენას, რათა მათი რიგებიდან ღირსეული შევსება ექნეთ ჩვენს ოსტატთა კოლექტივებს.

რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ჯგუფის მონაწილენი ასპარეზობენ ორ ზონად.

აღმოსავლეთი ზონა. „ლოკომოტივი" (თბილისი), „ავტომობილისტი" (თბილისი), „ავიატორი" (თბილისი), „მეტალურგი" (რუსთავი), „ქართლი" (გორის რაიონი), „სპარტაკი" (თბილისი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ივერია" (ხაშური), „კახეთი" (თელავი), „თორი" (ბორჯომი), „მადნეული" (ბოლნისი), „დურუჯი" (ყვარელი), „სპარტაკი" (ცხინვალი), „არმაზი" (მცხეთა), „ალაზანი" (გურჯაანი), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), „ჰერეთი" (ლაგოდეხი), „სამგორი" (გარდაბანი).

დასავლეთი ზონა. „მეტალურგი" (ზესტაფონი), „სულორი" (ვანი), „ამირანი" (ოჩამჩირე), „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), „მაღაროელი" (ჭიათურა), „დინამო" (ზუგდიდი), „კოლხეთი" (ხობი), „სქური" (წალენჯიხა), „მზიური" (გალი), „სალხინო" (გეგეჭკორი), „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა), „ეგრისი" (ცხაკაია), „სამგურალი" (წყალტუბო), „შუქურა" (ქობულეთი), „მექაღალდე" (ზუგდიდი), „ბახმარო" (ჩოხატაური), „იმერეთი" (წულუკიძე), „საირმე" (მაიაკოვსკი), „დინამო" (გაგრა).

მეორე ჯგუფის მონაწილე გუნდები აგრეთვე დაყოფილი არიან 2 ზონად:

აღმოსავლეთი ზონა. ასკ (თბილისი), „ალგეთი" (მარნეული), „ჩიხურა" (საჩხერე), „აბული" (ახალქალაქი), „ენერგეტიკოსი" (ჟინვალი, დუშეთის რაიონი), „ვარძია" (ასპინძა), „ზარზმა" (ადიგენი), „მესხეთი" (ახალციხე), „იბერია" (ქარელი), „გარეჯი" (საგარეჯო), „განთიადი" (კასპი), „მაშავერა" (დმანისი), „მშენებელი" (ჭიათურა), „გარისი" (თეთრი წყარო), „თრიალეთი" (წალკა), „ბახტრიონი" (ახმეტა), „იმედი" (რუსთავი).

დასავლეთი ზონა. „გიგანტი" (ლაითური, მახარაძის რაიონი), „შახტიორი" (ტყვარჩელი), „ავტომობილისტი" (აბაშა), „იმერეთი" (ქუთაისი), „გეოლოგი" (სოხუმი), „კოლმეურნე" (გულრიფში), „ხვამლი" (ცაგერი), „კოლხიდმშენი" (ფოთი), „ნარუჯა" (მახარაძე), „სენაკი" (ცხაკაია), „ავტომობილისტი" (ბათუმი), „ავიატორი" (სოხუმი), „რაჭა" (ამბროლაური), „ბზიფი" (გუდაუთა), „სუბტროპიკი" (ზედა ეწერი, ზუგდიდის რაიონი), „კოლმეურნე" (დვაბზუ, მახარაძის რაიონი), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი), „ნაპერწკალი" (ოქუმი, გალის რაიონი).

ორივე ჯგუფის ზონებში გათამაშება ჩატარდება წრიული სისტემით, საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე, ქულათა დარიცხვის სისტემა ადრინდელია: მოგება — 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს ხელმძღვანელობენ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და რესპუბლიკის ფედერაცია, შეჯიბრების ჩატარება ევალება მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმს.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მიერ გამოყოფილი კომისია სპეციალური აქტით მიიღებს ყველა სტადიონს, სადაც უნდა გაიმართოს ჩემპიონატის მატჩები პირველ და მეორე ჯგუფებში და თუ რომელიმე გუნდის მინდორი არ შეესაბამება ფეხბურთის წესებით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გათამაშებიდან მოიხსნება.

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის ზონებში პირველ 3 ადგილზე გასული გუნდები (სულ — 6), შექმნიან ფინალურ ჯგუფს. ფინალისტები ერთ ქალაქში ერთ წრედ გაითამაშებენ საერთო I-VI ადგილებს.

თუ პირველი ჯგუფის ზონებში 3 ან რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ადგილების განსაზღვრისთვის უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც პირველ რიგში ექნება მოგებათა მეტი რაოდენობა, შემდეგ — გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა, შემდეგ — ერთმანეთთან შეხვედრათა უკეთესი შედეგი. თუ ფინალურ ჯგუფში მონაწილე 2 გუნდს აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა, ჩემპიონის დასადგენად მათ შორის გაიმართება დამატებითი თამაში ფიფა-ს წესებით, მაგრამ თუ ფინალურ ჯგუფში ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა ორზე მეტმა გუნდმა, საბოლოო ადგილების განსაზღვრისათვის უპირატესობა მიენიჭება ამ გუნდებს შორის ერთმანეთთან ჩატარებულ თამაშებში უკეთესი მაჩვენებლებით (ქულათა მეტი რაოდენობა, ბურთების უკეთესი სხვაობა, მოგებათა მეტი რაოდენობა).

მეორე ჯგუფის ზონებში მონაწილე გუნდებს შორის თუ ორ კოლექტივს აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა, პირველი ადგილის გამოსავლენად მათ შორის შედგება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მინდორზე ფიფა-ს წესებით, ხოლო თუ ამ მდგომარეობაში ორზე მეტი გუნდი აღმოჩნდა, საბოლოო ადგილების განსაზღვრისთვის პირველ რიგში მნიშვნელობა ექნება მოგებათა მეტ რაოდენობას, შემდეგ — გატანილი და მიღებული ბურთების უკეთეს სხვაობას, შემდეგ — ერთმანეთთან ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს (აქ მხედველობაში მიიღებენ დისციპლინარულ დარღვევათა ნაკლებ რაოდენობასაც).

პირველი ჯგუფის ზონებში ბოლო 2 ადგილზე გასული გუნდები 1984 წელს ითამაშებენ მეორე ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფის ზონებში ბოლო ადგილზე გასული გუნდები გადაინაცვლებენ ზონალურ პირველობაზე.

მეორე ჯგუფის ზონებში გამარჯვებული გუნდები 1984 წელს ითამაშებენ პირველ ჯგუფში.

საქართველოს სსრ 1983 წლის ჩემპიონი უფლებას მოიპოვებს 1984 წელს ითამაშოს „ა" კლასის II ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში იმ გუნდის ნაცვლად, რომელიც რესპუბლიკის კოლექტივებს შორის აღნიშნულ გათამაშებაში დაიკავებს ბოლო ადგილს.

„ა" კლასის II ლიგაში საქართველოს ჩემპიონის გარდა 1984 წლიდან ჩაირიცხება, აგრეთვე, თბილისის „დინამოს" საბაზო გუნდი ნაცვლად იმ კოლექტივისა, რომელიც ამ გათამაშებაში საქართველოს გუნდებს შორის ბოლოსწინა ადგილზე გამოვა.

ამრიგად, „ა" კლასის II ლიგაში რესპუბლიკის გუნდებიდან ბოლო ორ ადგილზე გასულნი 1984 წელს გადაინაცვლებენ საქართველოს პირველობის I ჯგუფში, მათ ადგილებს კი დაიკავებენ საქართველოს ჩემპიონი და თბილისის „დინამოს" საბაზო გუნდი.

რესპუბლიკური შეჯიბრება იმ გუნდებისთვის, რომლებიც არ არიან დაშვებული პირველ და მეორე ჯგუფებში, ტარდება შემდეგნაირად: **პირველი ეტაპი** — რაიონებსა და ქალაქებში, რომლებსაც ატარებენ რაიონების და ქალაქების ფიზკულტურის კომიტეტები და ფედერაციები, **მეორე ეტაპი** — რაიონებისა და ქალაქების შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები ტერიტორიული პრინციპით ქმნიან ზონებს, სადაც ზონალური პირველობები იმართება ორ წრედ, **მესამე ეტაპზე** მონაწილეობას მიიღებენ ზონებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები. აქ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები 1984 წლისათვის გამოვლენ რესპუბლიკური გათამაშების მეორე ჯგუფში.

შექმნილია შემდეგი ზონები:

I ზონა. თბილისი (2).

II ზონა. აჭარა.

III ზონა. აფხაზეთი.

IV ზონა. ქუთაისი.

V ზონა. სამხრეთ ოსეთი.

VI ზონა. ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ბოგდანოვკა, წალკა, დმანისი, ბოლნისი, მარნეული, თეთრი წყარო.

VII ზონა. ახმეტა, გურჯაანი, ლაგოდეხი, სიღნაღი, საგარეჯო, თელავი, თიანეთი, წითელწყარო, ყვარელი, გარდაბანი.

VIII ზონა. ქ. გორი, ქ. რუსთავი, გორის რაიონი, დუშეთი, ხაშური, ბორჯომი, ქარელი, კასპი, მცხეთა.

IX ზონა. ქ. ტყიბული, ქ. ჭიათურა, ქ. წყალტუბო, ამბროლაურის რაიონი, ონი, ცაგერი, საჩხერე, თერჯოლა, მაიაკოვსკი, ვანი, ზესტაფონი, ორჯონიკიძე, წულუკიძე.

X ზონა. ქ. ზუგდიდი, ქ. ფოთი, ზუგდიდის რაიონი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, აბაშა, ხობი, ცხაკაია, გეგეჭკორი, სამტრედია, მახარაძე, ჩოხატაური, ლანჩხუთი.

საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებისთვის სავალდებულოა იყოლიონ 1968-70 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პირველობაზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის — სიჭაბუკის თასის გათამაშებაში. საქართველოს პირველობაში მონაწილეობენ ფეხბურთელები, რომლებსაც შეუსრულდათ 17 წელი, მაგრამ ყოველ გუნდს უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს 16 წლის 2 ფეხბურთელი, რომლებიც თამაშებზე დაიშვებიან საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპეციალური ნებართვით, საგანგებო სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

ფეხბურთელს, თუ იგი ოსტატთა გუნდში გამოდის, კატეგორიულად ეკრძალება საქართველოს პირველობის მატჩებში მონაწილეობა. რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილე გუნდში შეიძლება მხოლოდ ოსტატთა კოლექტივიდან განთავისუფლებული ფეხბურთელის შეყვანა, ამასთან განაცხადში მისი შეყვანა შეიძლება 1 სექტემბრამდე. სხვა სიტყვებით, ფეხბურთელი ერთდროულად ვერ ითამაშებს ოსტატობაზე და საქართველოს პირველობაზე.

ფეხბურთელი, რომელიც ფეხბურთის სამმართველოს გამოძახების შემდეგ არ გამოცხადდება შეკრებაზე ან ზემდგომ ლიგებში სათამაშოდ, საგანგებო გადაწყვეტილებამდე მორიგ კალენდარულ შეხვედრებზე სათამაშოდ არ დაიშვება.

თუ საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდის ფეხბურთელები შეყვანილი არიან რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებში, ეს გუნდები კალენდარულ შეხვედრებში მონაწილეობენ აღნიშნულ მოთამაშეთა გარეშე.

სამხედრო მოსამსახურეებს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ იმ ქალაქისა და რაიონის სახელით, სადაც განაწილებით იქნებიან მივლინებული.

რესპუბლიკის ქალაქიდან ან რაიონიდან უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხულ ფეხბურთელებს უფლება აქვთ ითამაშონ იმ ქალაქის ან რაიონის სახელით, სადაც სტაციონარულ სწავლებას გადიან.

გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე ტექნიკურ ოქმში შეიტანოს არაუმეტეს 16 ფეხბურთელის გვარი, ყოველ მოთამაშეს ოქმში რიგის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი. თამაშზე გუნდი უნდა გამოვიდეს თანმიმდევრული ნუმერაციით — 1-დან 11-ს ჩათვლით. სათადარიგო მოთამაშეები ოქმში უნდა ჩაიწერონ რიგითი ნომრებით 12, 13, 14 და 15, სათადარიგო მეკარის ნომერია 16.

საქართველოს პირველობის მატჩებზე ნებადართულია 5 მოთამაშის შეცვლა.

საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში დისციპლინის მტკიცე დაცვას, ყოველგვარ უწესრიგობასთან, უხეშობასთან შეურიგებელ ბრძოლას. საქართველოს სპორტკომიტეტმა, ფეხბურთის სამმართველომ და ფედერაციამ საგანგებო ღონისძიებები შეიმუშავეს, რათა ჩვენს სტადიონებზე და ჩვენს ფეხბურთში დამყარდეს სანიმუშო წესრიგი.

დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელის საკითხი გუნდმა უნდა განიხილოს თავის საერთო კრებაზე და შესაბამისი ოქმი წარუდგინოს ფეხბურთის სამმართველოს სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე განსახილველად. უამისოდ ფეხბურთელი მორიგ თამაშებზე არ დაიშვება.

დისკვალიფიცირებული ან განუცხადებელი ფეხბურთელის შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გუნდს გამარჯვების შემთხვევაში ჩაეთვლება წაგება გატანილი და მიღებული ბურთების გაუქმებით (წაგების შემთხვევაში თამაშის შედეგი მტკიცდება). ასეთ გუნდს დამარცხება ეთვლება მაშინაც, თუ მატჩი ფრედ დამთავრდა (გატანილი და მიღებული ბურთები აქაც უქმდება).

მინდვრიდან ორჯერ გაძევებულ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ეძლევა ერთი წლით.

მსაჯის მიერ ორჯერ გაფრთხილებულ მოთამაშეს ავტომატურად ეძლევა დისკვალიფიკაცია ერთი თამაშით, მესამე გაფრთხილებისთვის — 3 თამაშით, მეოთხე გაფრთხილებისთვის — 5 თამაშით, ხოლო მეხუთე გაფრთხილების შემთხვევაში — 1 წლით.

თუ მსაჯის მიერ მინდვრიდან გაძევებული მოთამაშე შემდეგ გაფრთხილებას მიიღებს, მას 3 მატჩით ეკრძალება გათამაშებაში მონაწილეობა, მეორე გაფრთხილების შემთხვევაში — 5 მატჩით და მესამე გაფრთხილებისთვის — 1 წლით. ე. ი. ერთი გაძევებისა და 3 გაფრთხილების შემთხვევაში ფეხბურთელს ერთი წლით მისცემენ დისკვალიფიკაციას.

უღირსი, არასპორტული საქციელის, საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი მოქმედებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი სასჯელები:

არბიტრის ან გვერდითი მსაჯების ფიზიკური შეურაცხყოფისთვის — დისკვალიფიკაცია ერთი წლით;

არბიტრის ან გვერდითი მსაჯების შეურაცხყოფის ან ძალდატანებისთვის — დისკვალიფიკაცია 10-15 თამაშით;

ორმხრივი ჩხუბისთვის, მსაჯთან სისტემატური კამათისთვის — დისკვალიფიკაცია 5-10 თამაშით;

თუ ფეხბურთელმა მეტოქეს განზრახ გაარტყა ან ტრავმა მიაყენა, მას დისკვალიფიკაცია ელის 7-10 თამაშით, ხოლო თანაგუნდელის ან მეტოქე ფეხბურთელის მიმართ გამოჩენილი შეურაცხმყოფელი საქციელისთვის — 2-4 მატჩით დისკვალიფიკაცია;

თუ ფეხბურთელი განზრახ სისტემატურად არღვევს 9 მეტრი მანძილის დაცვას თამაშის დროს, თუ იგი არასპორტულად იქცევა, სიმულანტობს, უდიერად გადააგდებს ბურთს სასტვენის შემდეგ, მას 2-4 თამაშით ეკრძალება შეჯიბრებაში მონაწილეობა;

თუ უდისციპლინოდ მოიქცნენ სათადარიგო მოთამაშეები (შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს მსაჯებს, მეტოქე ფეხბურთელებს ან მწვრთნელებს და სხვ.), ისინი მკაცრად დაისჯებიან (დისკვალიფიკაცია 5-10 მატჩით).

საგანგებო ყურადღებას იპყრობს დებულების შემდეგი პუნქტი: „თუ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე არ იქნა დაცული სათანადო წესრიგი და ამ მიზეზით თამაში ჩაიშალა, ადგილობრივ გუნდს წაგება ჩაეთვლება, ხოლო სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია სხვადასხვა ვადით".

საყურადღებოა შემდეგი პუნქტიც: „თუ გუნდი თამაშის დამთავრებამდე დატოვებს მინდორს, იგი მოიხსნება შეჯიბრებიდან, მისი ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელთა საკითხი განიხილება რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში."

თუ გუნდი თვითნებურად გამოეთიშა შეჯიბრებას გათამაშების დამთავრებამდე, იგი 1984 წლის რესპუბლიკურ პირველობაზე იმავე ჯგუფში აღარ დაიშვება, თუ ასეთ გუნდს ჩატარებული არა აქვს მატჩების რაოდენობის 50 პროცენტი, ნათამაშევ შეხვედრათა შედეგები უქმდება.

თუ რომელიმე გუნდი არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩზე, საკითხს განიხილავს სპორტტექნიკური კომისია, მსგავსი დარღვევის გამეორების შემთხვევაში კი მხედველობაში არ მიიღებენ არავითარ მიზეზს, გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან და 1984 წელს იმავე ჯგუფში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

საქართველოს პირველობის კალენდარულ მატჩზე დანიშნული მსაჯი ვალდებულია თამაშის ადგილზე იყოს იმავე დღის დილის 11 საათისთვის და შეამოწმოს შეჯიბრების ჩატარების ადგილი. ადგილობრივი სპორტკომიტეტები ვალდებული არიან ბრძანებით წინასწარ დანიშნონ სათადარიგო მსაჯები და იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული მსაჯი ვერ ჩამოვიდა შეხვედრის ადგილზე, ისინი ჩაატარებენ აღნიშნულ მატჩს (ამასთან სათადარიგო მსაჯებს აუცილებლად თან უნდა ჰქონდეთ სპორტკომიტეტის ბრძანება მათი დანიშვნის შესახებ).

საქართველოს პირველობის მსაჯი ვალდებულია მატჩის ოქმში აღნიშნოს ფეხბურთელის გაფრთხილების ან მინდვრიდან გაძევების ყოველგვარი ფაქტი, ზუსტად განსაზღვროს მისი დანაშაული და მოხსენებითი ბარათი გაუგზავნოს ფეხბურთის სამმართველოს 24 საათის განმავლობაში, გარდა ამისა, თამაშის დამთავრებისთანავე დეპეშით აცნობოს ფეხბურთის სამმართველოს მატჩის შედეგი და დისციპლინარული დარღვევები.

დადგენილია პროტესტის შეტანის წესი. პროტესტს განსახილველად არ მიიღებენ თუ იგი შეტანილია საჯარიმო ან 11-მეტრიანი დარტყმის დანიშვნის, ან არდანიშვნისათვის, „თამაშგარე" მდგომარეობის ან გატანილი ბურთის განსაზღვრისთვის.

პროტესტის შემტანი გუნდის წარმომადგენელი ან მწვრთნელი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე აცნობოს ამის შესახებ როგორც მსაჯს, ისე მოპირდაპირე გუნდის მწვრთნელს ან წარმომადგენელს და პროტესტის შეტანის შესახებ აუცილებლად გააკეთოს აღნიშვნა თამაშის ოქმში.

წერილობითი პროტესტი ამომწურავად უნდა იყოს დასაბუთებული, ხელმოწერილი მწვრთნელის ან გუნდის წარმომადგენლის მიერ. პროტესტი წარედგინება სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მატჩის დამთავრების 2 დღის შემდეგ. აღნიშნული დროის გადაცილების შემთხვევაში პროტესტს განსახილველად არ მიიღებენ.

თუ პროტესტი არ იქნა სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული, მწვრთნელს სასჯელი დაედება.

გუნდს, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოიპოვებს პირველ ადგილს, მიენიჭება ფეხბურთში საქართველოს 1983 წლის ჩემპიონის წოდება, გადაეცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშა და თასი, პირველი ხარისხის დიპლომი; მოთამაშეები და მწვრთნელები დაჯილდოვდებიან ჩემპიონის მედლებით, პირველი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცემათ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები. მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან მესამე ხარისხის დიპლომებით. ასევე მესამე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდებიან ზონალური პირველობის ფინალურ თამაშებში I-II ადგილებზე გასული გუნდები (ჯილდოები გადაეცემათ გუნდის წევრებს, რომლებსაც ჩატარებული აქვთ შეხვედრათა 50 პროცენტზე არანაკლები რაოდენობა).

საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში თბილისის „სპარტაკსა" და რუსთავის „მეტალურგს" შორის.

სურათზე: თამაშის მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივისა" და გორის რაიონის „ქართლის" შეხვედრის მომენტი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ი. ქუნიას ფოტო.

●

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

საფრანგეთი — სსრ კავშირი

23 მარტს პარიზში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საფრანგეთისა და სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ჩვენი ფეხბურთელები ამ მატჩისათვის ემზადებოდნენ ვ. ლობანოვსკის ხელმძღვანელობით. გუნდის შემადგენლობაში არიან: **მეკარეები** — რ. დასაევი („სპარტაკი", მოსკოვი), ვიქ. ჩანოვი („დინამო", კიევი); **მცველები** — ს. ბოროვსკი („დინამო", მინსკი), ა. ჩივაძე („დინამო", „თბილისი), ს. ბალტაჩა და ა. დემიანენკო („დინამო", კიევი) **ნახევარმცველები** — ა. ბალი, ვ. ბესონოვი და ლ. ბურიაკი („დინამო", კიევი), ნ. ლარიონოვი („ზენიტი", ლენინგრადი), ხ. ოჰანესიანი („არარატი", ერევანი), ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი", მოსკოვი); **თავდამსხმელები** — ს. როდიონოვი („სპარტაკი", მოსკოვი), რ. გაზაევი („დინამო, მოსკოვი), ვ. ევტუშენკო და ო. ბლოხინი („დინამო", კიევი).

* * *

ამ საინტერესო მატჩთან დაკავშირებით ჩვენმა სტატისტიკოსმა **რ. შენგელიამ** მოგვაწოდა შემდეგი ცნობები:

● პარიზის ცნობილი სტადიონი „პარკ-დე-პრენსი" კვლავ მასპინძლობს ჩვენი ქვეყნის პირველ ნაკრებს. სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები სულ რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: 3 მატჩი მოიგეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, 2 — ფრანგებმა. 3 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 13:10 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

● ამ გუნდების პირველი მატჩი 1955 წლის 23 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში და დამთავრდა ფრედ — 2:2. ჩვენი ნაკრებიდან ბურთები გაიტანეს სტრელცოვმა და სიმონიანმა.

● 1956 წლის 21 ნოემბერს ფრანგებმა შინ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 (ჩვენგან ბურთი გაიტანა ისაევმა).

● 1966 წლის 5 ივნისს სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდებმა მოსკოვში ფრედ ითამაშეს — 3:3 (ბურთები გაიტანეს მეტრეველმა, ბანიშევსკიმ და ჩისლენკომ).

● 1967 წლის 3 მაისს ფრანგებმა პარიზში მარცხი იწვნიეს ანგარიშით 2:4 (ბურთები გაიტანეს ჩისლენკომ — 2, ბიშოვეცმა და სტრელცოვმა).

● 1972 წლის 13 ნოემბერს პარიზში გაიმართა საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

● 1973 წლის 26 მაისს საბჭოთა ფეხბურთელებმა მოსკოვში აიღეს რევანში — 2:0 (ბურთები გაიტანეს ბლოხინმა და ონიშჩენკომ).

● 1977 წლის 8 ნოემბერს მეტოქეებმა პარიზში ფრედ ითამაშეს — 0:0.

● 1980 წლის 23 მაისს მოსკოვში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი (ბურთი გაიტანა ჩერენკოვმა).

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ცნობილი სპეციალისტი მ. იდალგო, გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, შესანიშნავად ითამაშა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და მეოთხე ადგილი დაისაკუთრა.

საფრანგეთის ნაკრები, როგორც 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, განთავისუფლებულია შესარჩევი მატჩებისგან და უშუალოდ ფინალისთვის ემზადება. 16 თებერვალს ფრანგები ლისაბონში შეხვდნენ პორტუგალიის ნაკრებს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 3:0. ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა სტოპირამ, 1 — ქერარიმ. გამარჯვებულთა რიგებში გამოდიოდნენ: ტემპე, ბატისტონი, ბოსი, მაიუ, ამორო, ფერნანდესი (ტიუსო), ჟირესი, პლატინი, ქერარი (ტიგანა), სტოპირა (როშტო), ამისი.

23 მარტისათვის მ. იდალგომ მიიწვია 16 ფეხბურთელი, რომელთა შორის 10 შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა (ამორო, ბატისტონი, ბოსი, მაიუ, ტიგანა, პლატინი, ჟირესი, ქერარი, კურიოლი, როშტო). ნაკრებში ვერ მოხვდნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ჟანვიონი, ტრეზორი, ლოპესი, ეტორი, ჟენგინი, ლარიო, ლიაკომბი, სიქსი, სოლერი, ზიმაკო.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ხვალინდელი მატჩი საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევს.

• • •

მატჩი — ტელევიზიით

სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზია 23 მარტს 23 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით გადასცემს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრას.

საუკეთესო მსაჯთა ათეული

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, დამტკიცდა რესპუბლიკის ფეხბურთის მსაჯთა საუკეთესო ათეული 1982 წლის შედეგების მიხედვით. გთავაზობთ საუკეთესო მსაჯთა სიას (ანბანით): ნ. ამირეჯიბი (თბილისი), ი. გობრონიძე (ფოთი), ვ. ეჯიბია (თბილისი), ა. კიკაბიძე (მახარაძე), ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული), გ. სეფიაშვილი (თბილისი), რ. ძძუაშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), მ. ჰელიძე (თბილისი), შ. ხანიაშვილი (თბილისი).

უეფა-ს სამდივნოს ცნობით

როგორც უეფა-ს სამდივნოს მიერ ბერნში გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩები დაიწყება 20 საათსა და 15 წუთზე შუაევროპის დროით.

ჩემპიონთა თასის ფინალი 25 მაისს ათენში ჩატარდება. თასების მფლობელთა თასის გადამწყვეტი მატჩი დანიშნულია 11 მაისს გეტებორგში, ხოლო უეფა-ს თასის ფინალები 4 და 18 მაისს.

ამხანაგური მატჩი

საბჭოთა ნაკრების მეტოქემ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, პოლონეთის ნაკრებმა, მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა — ვარშავაში შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით — 2:0. ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა ნახევარმცველმა ბუნცოლმა.

● ჭადრაკი

გაიმარჯვა უძლიერესმა

როგორც ვიუწყებოდით, გ. კასპაროვ — ა. ბელიავსკის მატჩი ბაქოელი დიდოსტატის გამარჯვებით (ანგარიშით 6:3) დამთავრდა.

აი, როგორ წარიმართა ორთაბრძოლის ბოლო, მეცხრე პარტია:

კასპაროვი — ბელიავსკი

პირც-უფიმცევის დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 c5 3. d5 d6 4. მc3 g6 5. e4 კg7 6. კb5+ კd7 7. a4 0—0 8. 0—0 მa6 9. ეe1 მb4 10. h3 e6 11. კf4 e5 12. კg5 კc8 13. მd2 h6 14. კh4 g5 15. კg3 g4 16. h×g4 მ×g4 17. f3 მf6 18. კh4 მფh8 19. მe2 ეg8 20. c3 მa6 21. მg3 ლf8 22. მdf1 მh7 23. მe3 კf6 24. კ×f6 მ×f6 25. მფf5 მh5 26. მფf2 მf4 27. g3 მh3+ 28. მფe2 კ×f5 29. მ×f5 ე×g3 30. მ×g3 ლg7 31. ეg1 ეg8 32. ლd2. შავები დანებდნენ.

მეტოქეებმა პირველად გაითამაშეს ეს რთული სადებიუტო სისტემა — პირც-უფიმცევის დაცვა. მანევრულ თამაშში კასპაროვმა მეტოქეს აჯობა და შესამჩნევი პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა. მისმა მხედრებმა შეზღუდეს ბელიავსკის ინიციატივა მეფის ფრთაზე. ბრძოლის გამძაფრების მიზნით ბელიავსკიმ ეტლი არ დაიშურა, მაგრამ კასპაროვმა დაკვირვებული თამაშით უვნებელყო მუქარა. საბოლოოდ კასპაროვს სულ ცოტა ზედმეტი ფიგურა რჩებოდა, ამიტომ ბელიავსკიმ აღარ განაგრძო ბრძოლა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

ამრიგად, აზერბაიჯანის პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, 20 წლის გარი კასპაროვმა პირველმა მოიპოვა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში თამაშის უფლება. ახლა იგი შეხვდება ლ. პორტიშ (უნგრეთი) — ვ. კორჩნოის (შვეიცარია) ორთაბრძოლაში გამარჯვებულს.

მატჩის შემდეგ კასპაროვმა საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩემი და ბელიავსკის შეხვედრა მეტად შეუპოვარი იყო. მატჩის ანგარიში ვერ გამოხატავს ბრძოლის იმ სიმწვავეს, რომელიც საჭადრაკო დაფაზე შეიმჩნეოდა. ბელიავსკიმ გამოავლინა თავისი მთავარი თვისებები — შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, სიმტკიცე. მე კი გამარჯვების მისაღწევად დამჭირდა დიდი მონდომება, დიდი მოქნილობა სადებიუტო სტრატეგიის არჩევისას და დიდი ძალა თვით პარტიის მსვლელობის დროს სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ხშირად იქმნებოდა არასტანდარტული პოზიცია. და სწორედ ასეთ პოზიციებში ვაღწევდი უპირატესობას. გარდა ამისა, მე უკეთესად ვანაწილებდი თამაშისათვის გამოყოფილ დროს. ჩემი მეტოქე კი ხშირად ცაიტნოტში ხვდებოდა.

ამ ორთაბრძოლაში კასპაროვს ეხმარებოდნენ ოსტატი ა. ნიკიტინი, საერთაშორისო ოსტატოები ე. ვლადიმიროვი, ვ. ჩეხოვი და დიდოსტატი გ. ტიმოშჩენკო.

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

მეოთხე პარტია

ლვოვი, 21 მარტი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ). შაბათს ჭადრაკის სასახლეში გაიმართა გაფრინდაშვილ — ლევიტინას მატჩის მეოთხე პარტია.

როგორც მეორე პარტიაში, გაფრინდაშვილმა შავებით ახლაც ლაზიერის გამბიტის ძველი ვარიანტი გაითამაშა. მე-13 სვლაზე მან სხვა გაგრძელება აირჩია, რასაც მრავალი ფიგურის გაცვლა მოჰყვა. როცა ლაზიერებიც გაიცვალა, ნონამ არ მიიღო ლევიტინას შემოთავაზებული ყაიმი და თამაში უფრო გაართულა, მაგრამ მოახლოებულ ცაიტნოტში შეცდა და პაიკი დაკარგა. გამსვლელმა პაიკმა ვერ გაუმართლა იმედი, თუმცა მე-2 ჰორიზონტალამდე კი მიაღწია. ლევიტინა ადვილად ამუხრუჭებდა მას.

პარტია გადაიდო გაფრინდაშვილისთვის უარეს პოზიციაში. გუშინ ნონამ თამაშის განუახლებლად დათმო იგი.

გთავაზობთ, მეხუთე პარტიას.

ლევიტინა — გაფრინდაშვილი

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 e6 3. c4 მf6 4. მc3 კe7 5. კg5 მbd7 6. e3 h6 7. კh4 0—0 8. ეc1 c6 9. კd3 d×c4 10. კ×c4 a6 11. კd3 c5 12. 0—0 b5 13. a4 b4 14. მe4 c×d4 15. მ×d4 კb7 16. მ×f6+ კ×f6 17. კ×f6 მ×f6 18. მc6 ლb6 19. ლc2 მფh8 20. a5 ლc7 21. მ×b4 ლ×a5 22. მc6 ლb6 23. ლc5 ლ×c5 24. ე×c5 ეfc8 25. ეfc1 ე×c6 26. ე×c6 კ×c6 27. ე×c6 ეd8 28. კc2 მd5 29. მფf1 g5 30. კb3 მb4 31. ეb6 a5 32. მფe2 მd3 33. კc4 მc1+ 34. მფe1 ეc8 35. b3 მa2 36. ეa6 ეc5 37. ეa7 მb4 38. ე×f7 a4 39. ეa7 a3 40. მფd2 a2. შავები დანებდნენ.

• • •

გუშინ შედგა მეხუთე პარტია, რომელიც 41-ე სვლაზე გადაიდო გაფრინდაშვილის უპირატესობით. ეს პარტია დღეს დამთავრდება.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3:1 ლევიტინას სასარგებლოდ. მეექვსე პარტია ხვალ, 23 მარტს უნდა შედგეს.

მატჩები ფელდენში

ავსტრიის სამხრეთში, ალპური ტბის ვერტერზეს ნაპირებზე გაშენებული პატარა საკურორტო ქალაქი ფელდენი მასპინძლობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ორ მეოთხედფინალურ მატჩს. აქ ერთმანეთს ხვდებიან ნ. იოსელიანი — ლიუ შილანი (ჩინეთი) და ვ. სმისლოვი — რ. ჰიუბნერი (გფრ). დარბაზის სცენაზე, სადაც მატჩები ტარდება, ორი საჭადრაკო მაგიდა დგას.

შეჯიბრების გახსნისას კენჭისყრამ პირველ და ყველა კენტ პარტიაში თეთრებით თამაში იოსელიანსა და ჰიუბნერს „არგუნა". თითოეულ მატჩს თავისი მსაჯი ჰყავს: მოჭადრაკე ქალებს ავსტრიელი საერთაშორისო არბიტრი გერტრუდა ვაგნერი (იგი კარპოვ — კორჩნოის მეორე მატჩის მსაჯი იყო), ხოლო ვაჟებს — იუგოსლაველი საერთაშორისო არბიტრი ბოჟიდარ კაჟიჩი.

20 მარტს, პირველი პარტიის გათამაშების დღეს, ბრძოლა მხოლოდ იოსელიანმა და ლიუ შილანმა დაიწყეს. სმისლოვის ავადმყოფობის გამო, მისი პირველი შეხვედრა ჰიუბნერთან გადატანილია 22 მარტისათვის.

საინტერესოდ წარიმართა იოსელიანი — ლიუ შილანის პარტია, რომელიც მე-40 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. მეორე პარტია დღეს, 22 მარტს გაიმართება. თეთრებით ჩინელი დიდოსტატი ითამაშებს.

საინტერესო შეხვედრა

თბილისის კინოს სახლში სპორტის მოყვარულები შეხვდნენ საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრებსა და ნორჩ სპორტსმენებს. შეხვედრის თაოსნები იყვნენ საქართველოს სპორტული კინოს ფედერაცია და რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის სპორტული კინოს სექცია.

სპორტის მოყვარულებსა და სპორტსმენებს შორის გამართულ საუბარში მონაწილეობა მიიღეს კინორეჟისორებმა მ. ჭიაურელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. კობერიძემ, საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. სალაძემ, სპორტსმენებმა ი. გაბაშვილმა, მ. ნადიბაიძემ და სხვებმა.

— ეს შეხვედრა პირველია იმ ციკლიდან, რომლის გამართვასაც ვაპირებთ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში, — თქვა სპორტული კინოს ფედერაციის თავმჯდომარემ, კინორეჟისორმა მ. ჭიაურელმა. — ვფიქრობთ, ეს ღონისძიება ერთგვარ სამსახურს გაუწევს ჩვენს სპორტსმენებს საპასუხისმგებლო სტარტების წინ.

დასასრულს აჩვენეს რეჟისორ თემურ ჩიხლაძის ახალი დოკუმენტური ფილმი „ნელი სალაძე".

მ. ჭკადუა.

* * *

სურათებზე: სტუმრებს ესალმება ო. კობერიძე; გუნდის გეგმებზე საუბრობს ნელი სალაძე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● აკრობატიკა

ჩვენი ქვეყნის 37-ე ჩემპიონატის აბსოლუტური ჩემპიონობა ვაჟთა შორის მოიპოვა კრასნოდარელმა ა. მარეიდამ — 67,59 ქულა. წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო კიეველთა დუეტი ვ. ლიაპუნოვი, ს. ჩიჟევსკი — 67,92. ოთხეულთა გამოსვლებში კი ტოლი არავის დაუდეს მათმა თანამემამულეებმა: ი. დერეპამ, ვ. მელნიკოვმა, ი. კაშუბამ და ვ. მალიუტინმა — 65,52.

ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა სტავროპოლელი ლ. გრომოვა — 66,91. წყვილებშიც აქაურმა სპორტსმენებმა — თ. კაზანკინამ და გორნოვტაევამ (63.25) გაიმარჯვეს ტოლიატელ ქალთა ტრიომაც — გ. სამიცკოვა, ა. კარიმოვა, ე. კაზუროვა — 63,77 ჩემპიონობა მოიპოვა. შერეულ წყვილთა გამოსვლებში თავი გამოიჩინეს ტოლიატელმა სპორტსმენებმა — ს. გროზდოვამ და ე. მიხალიჩევმა (67,37).

პანორამა

● თხილამურები

შვედ გუსტავ სვანის გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპი 15 კილომეტრზე რბოლაში, რომელიც ალიასკის ერთ-ერთ რაიონ ანკორიჯში ჩატარდა. სვანმა 37,29,3 წამში განვლო მანძილი. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ამერიკელი მრბოლელები ტ. კოლდუელი (38.19,9) და ბ. კოხი (38.30,2). წინა ასპარეზობების ლიდერმა ა. ზავიალოვმა (მოსკოვის ოლქი) მხოლოდ 31-ე ადგილის მოპოვება შეძლო და 107 ქულით საერთო მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველობა კვლავ ხელთ იგდო კოხმა — 114.

● თხილამურებით ფრენა

24 წლის სპორტსმენმა კ. ოსვალდმა (გდრ) გაიმარჯვა გარახოვში გამართულ მე-7 მსოფლიო ჩემპიონატზე — 1.051 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს რეკორდსმენი, ჩეხოსლოვაკიელი პ. პლოცი — 1.045,5, რომელმაც წინა დღეს 181 მეტრზე იფრინა. მესამე ადგილზე აღმოჩნდა ასპარეზობის ლიდერი მ. ნოკიანენი (ფინეთი) — 1.043,5.

საბჭოთა მოთხილამურეთაგან საუკეთესო იყო ვ. პროკოპენკო — მე-18 ადგილი (941 ქულა).

ცხრა დედა ერთ გუნდში

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს „ლელოს" 1981 წლის 6 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული პრობლემური წერილი „პირადი ბედნიერების ფასი". ავტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი ა. ციბაძე მოგვითხრობდა თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდის შესახებ, რომელიც ფაქტიურად დაიშალა, რადგან გუნდის წევრების უმეტესობა ოჯახს მოეკიდა და სპორტს აღარ დაუბრუნდა.

წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გამოითქვა სხვადასხვა აზრი. 1981 წლის 25 ოქტომბრის ნომერში კი დაიბეჭდა შემოსული წერილების მიმოხილვა. ავტორთა უმეტესობის აზრს — სპორტსმენმა გოგონებმა, ცხადია, ოჯახის შექმნაზე უნდა იფიქრონ, მაგრამ ამის გამო აქტიურ სპორტს არ უნდა ჩამოშორდნენო — ზოგიერთნი არ ეთანხმებოდნენ.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება პოლონური ჟურნალის „სპორტოვეცის" ერთი ინფორმაცია, რომელიც რამდენადმე ავსებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამართულ პოლემიკას.

სურათს, რომელიც „სპორტოვეციდან" გადმოვიღეთ, ახლავს ასეთი ტექსტი: „დანიის პატარა ქალაქ ფუნდარის მცხოვრებლები ძალზე ამაყობდნენ ხელბურთელ გოგონათა გუნდით, რომელიც პირველ ლიგაში გამოდიოდა. უცებ აღმოჩნდა, რომ გუნდის თითქმის ყველა წევრი, მეკარის გარდა დაახლოებით ერთსა და იმავე დროს უნდა გამხდარიყო დედა. ეს სურათი გადაღებულია სწორედ მას შემდეგ, რაც ისინი დედები გახდნენ. რა თქმა უნდა, გუნდმა დატოვა პირველი ლიგა და გადავიდა მეორეში, მაგრამ გოგონებმა გადაწყვიტეს შეუპოვრად ივარჯიშონ და დაიბრუნონ წარსული დიდება".

* * *

რედაქციას სურათი მიაწოდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მასწავლებელმა, „ლელოს" შტატგარეშე კორესპონდენტმა **ვახტანგ ბახტაძემ**.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტი

26 მარტს 16 საათზე, ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქუჩა № 37—კიროვის პარკი) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ:

სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **დავით ჯანოევი „ეტლების დაბოლოება პაიკებით".**

პროფესორი **ავთანდილ ციბაძე „რუსეთ—საქართველოს სპორტული ურთიერთობის ისტორიიდან"** (გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გივი გამრეკელი „ა. ანდერსენი როგორც იერიშის ოსტატი".**

• • •

კვირას, 27 მარტს 11 საათზე გაიმართება სემინარი თემაზე: **„შეჯიბრების ორგანიზაცია და მსაჯობა ჭადრაკში".**

სახალხო უნივერსიტეტის საბჭო.

წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. ხა-ეე — 07476